Direct Debit Georgia

# სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **ინვენტარის ტრანსპორტირების მომსახურების** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

| # | სამუშაოს აღწერა | რაოდ. | საზომი ერთ. |
|---|---|---|---|
| 1 | ინვენტარის ტრანსპორტირება - მძღოლის მომსახურება | 1 | კმ. |
| 2 | ინვენტარის ტრანსპორტირება - მძღოლის მომსახურება 4 საათი თბილისი | 1 | სამუშაო დღე |
| 3 | ინვენტარის ტრანსპორტირება - მძღოლის მომსახურება 8 საათი თბილისი | 1 | სამუშაო დღე |
| 4 | ინვენტარის ტრანსპორტირება - მძღოლის მომსახურება 24 საათი რეგიონი (მივლინება) | 1 | სამუშაო დღე |
| 5 | ინვენტარის ტრანსპორტირება - მძღოლი, დამატებით 2 დამხმარე 4 საათი თბილისი | 1 | სამუშაო დღე |
| 6 | ინვენტარის ტრანსპორტირება - მძღოლი, დამატებით 2 დამხმარე 8 საათი თბილისი | 1 | სამუშაო დღე |
| 7 | ინვენტარის ტრანსპორტირება - მძღოლი, დამატებით 2 დამხმარე 24 საათი რეგიონი (მივლინება) | 1 | სამუშაო დღე |
| 8 | სწრაფი გადახდის აპარატის Paybox-ის დემონტაჟი | 1 | ცალი |
| 9 | სწრაფი გადახდის აპარატის Paybox-ის მონტაჟი | 1 | ცალი |
| 10 | სწრაფი გადახდის აპარატის Paybox-ის დაანკერება - შიდა ლოკაცია | 1 | ცალი |
| 11 | სწრაფი გადახდის აპარატის Paybox-ის დაანკერება - გარე ლოკაცია | 1 | ცალი |

**სატენდერო მოთხოვნები**

- პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული წინადადება უნდა მოიცავდეს ტრანსპორტირებას მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის დამხმარე პერსონალის გამოყოფას და ტრანსპორტირების განხორციელებას პრეტენდენტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანებით;
- მომსახურების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

Direct Debit Georgia

- პრეტენდენტი პასუხისმგებელია ტრანსპორტირების დროს კომპანიის ქონების დაკარგვა/დაზიანება/განადგურებაზე;
- მომსახურების საფასური მოიცავს როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო დღეებში სატვირთო მანქანის საჭიროების ხარჯს.
- ტრანსპორტირების დროს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენება;
- კომპანიის მოთხოვნის არსებობის შემთხვევში 3.5-10 ტონამდე ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილები;
- გააფორმოს ყოველ შესრულებაზე მიღება-ჩაბარებები, სადაც განსაზღვრული იქნება ინვენტარის ჩამონათვალი და მხოლოდ მას შემდეგ დაიწყოს ტრანსპორტირება; იმ შემთხვევაში, თუ ინვენტარს ექნება აღქმადი დეფექტები, პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს დასტიკერება, რომ დაზიანებულია, დაასურათოს და მიაწოდოს ბანკს შესაბამისი ინფორმაცია. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, პრეტენდენტმა არ უნდა უზრუნველყოს მსგავსი დეფექტიანი ინვენტარის ტრანსპორტირება;
- ტრანსპორტირებაზე და სხვა დამატებით მომსახურებაზე მზადყოფნა 24/7-ზე;
- ანაზღაურება - ყოველთვიურად მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში

**სატენდერო პირობები**

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
    - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97;  ltkeshelashvili@ddg.ge

**შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 25/07/2025 15:00 საათი**

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

-	განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

-	სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

-	გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

-	ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

-	მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

-	დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

-	სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**